ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) საშუალებით ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № tub/07

ქ. თბილისი 11.10.2012 წელი

ერთის მხრივ, შპს *„სან პეტროლიუმ ჯორჯია“* ს/კ 404391136 (შემდგომში-„მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის იოსებ ქარსელაძის სახით და, მეორეს მხრივ, *სსიპ „ლ.საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ ს/კ 211324351* (შემდგომში-„შემსყიდველი ორგანიზაცია“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ეკატერინე ქავთარაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის 20² მუხლის, „ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის # 2622 განკარგულებისა და „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანების მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შემდგეზე:

1. *ხელშეკრულების საგანი:* პლასტიკური ბარათის მეშვეობით საწვავის კერძოდ: ბენზინის (პრემიუმი-95) CPV-09132000 და ევრო დიზელი CPV-09134200 (PPM 50 და ნაკლები) ნასყიდობა

2. *ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს* 19700 (ცხრამეტიათასშვიდასი) ლარს დღგ - ს ჩათვლით.

3. *მოცულობა საწვავის ტიპის/მარკის მიხედით:* ბენზინი (პრემიუმი-95) 4700 (ოთხიათასშვიდასი) ლიტრი და ევრო დიზელი (PPM 50 და ნაკლები) 4100 ლიტრი.

4. ბარათ(ებ)ის „შემსყიდველი ორგანიზაციისათვის“ გადაცემა ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით. მიღება-ჩაბარების აქტის ორმხრივად ხელმოწერის მომენტიდან „შემსყიდველ ორგანიზაციაზე" გადადის ბარათის დაზიანების, განადგურების ან/და დაკარგვის (მათ შორის ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის ან/და სხვა ნებისმიერი გზით ბარათ(ებ)ის „შემსყიდველი ორგანიზაციის“ მფლობელობიდან გამოსვლის) რისკი. „მიმწოდებელი“ პასუხს არ აგებს ბარათ(ებ)ის დაზიანებით, განადგურებით ან/და დაკარგვით (მათ შორის ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის ან/და სხვა ნებისმიერი გზით ბარათ(ებ)ის „შემმსყიდველი ორგანიზაციის“ მფლობელობიდან გამოსვლით) ნებისმიერი პირის წინაშე დამდგარ ყველა და ნებისმიერი სახის ზიანზე.

5. „შემსყიდველი ორგანიზაციის“ მიერ საწვავის ფასის გადახდა ხდება წინასწარ. „მიმწოდებლის“ მიერ „შემსყიდველი ორგანიზაციისათვის“ საწვავის პლასტიკური ბარათ(ებ)ის გადაცემა ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მოთხოვნილი რაოდენობის, შესაბამისი განაცხადის (ელექტრონული ან/წერილობითი ფორმით) შევსებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. პლასტიკური ბარათ(ებ)ის გადაცემა ხდება ქ. თბილისში მდებარე „მიმწოდებლის“ სერვის ცენტრში.

7. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ და „მიმწოდებელი“ ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ ეწინააღმდეგება და არ აუარესებს კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001 სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებისა და „მიმწოდებლის“ საწვავის მიწოდების ძირითად პირობებს, რომელიც დამტკიცებულია სატენდერო კომისიის მიერ.

8. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს “მიმწოდებელს” ზარათ(ებ)ის დაზიანების, განადგურების, დაკარგვის ან/და სხვა ნებისმიერი გზით „შემსყიდველი ორგანიზაციის“ ნების საწინააღმდეგოდ ზარათ(ებ)ის „შემსყიდველი ორგანიზაციის“ მფლობელობიდან გასვლის შესახებ.

9. „ხელშეკრულების“ მე-8 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ დაუყოვნებლივ დაბლოკავს „შემსყიდველი ორგანიზაციის“ მიერ შეტყობინებაში მითითებულ ზარათ(ებ)ს ისე, რომ შეუძლებელი იყოს ასეთი ზარათ(ებ)ით ბრენდირებულ აგს-ებზე საწვავის მიღება.

10. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ ვალდებულია, „ხელშეკრულების“ მე-9 მუხლით გათვალისწინებული წესით დაბლოკილ თითოეულ ზარათზე ჯარიმის სახით გადაუხადოს „მიმწოდებელს“ 10 (ათი) ლარი ყველა გადასახადის ჩათვლით. მხოლოდ ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდის შემდეგ არის „შემსყიდველი ორგანიზაცია“ უფლებამოსილი მოითხოვოს ახალი ზარათ(ებ)ის დამზადება და მიღება, ასევე, დაბლოკილ ზარათ(ებ)ზე („მიმწოდებლის“ მიერ ასეთი ზარათ(ებ)ის დაბლოკვის შემთხვევაში) არსებული ნაშთების გადატანა ანგარიშზე.

11. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“ უარს იტყვის თავისი შეკვეთის საფუძველზე ფაქტობრივად დამზადებული ზარათ(ებ)ის მიღებაზე ან/და არ უზრუნველყოფს ზარათ(ებ)ის მიღებას ზარათ(ებ)ის დამზადების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში, „შემსყიდველ ორგანიზაციას“ „მიმწოდებელის“ სასარგებლოდ ჯარიმის სახით გადასახდელად დაეკისრება 10 (ათი) ლარი ყველა გადასახადის ჩათვლით ყოველ ასეთ დამზადებულ ზარათზე. ამ პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის თანხის გადახდევინებისათვის „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია მიმართოს „ხელშეკრულებითა“ და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს.

12. მხარეები თანხმდებიან, რომ „ხელშეკრულების“ 10 და 11 მუხლებით გათვალისწინებული ჯარიმ(ებ)ის გადახდა „შემსყიდველი ორგანიზაციის“ უპირობო ვალდებულებაა და, რომ „შემსყიდველი ორგანიზაციის“ მიერ აღნიშნული ჯარიმების გადაუხდელობის შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია ყოველგვარი გაფრთხილებისა და დამატებითი თანხმობის გარეშე „შემსყიდველი ორგანიზაციის“ ანგარიშსა თუ ზარათ(ებ)ზე არსებული ნაშთიდან, დაუქვითოს „შემსყიდველ ორგანიზაციას“ ჯარიმის სახით გადასახდელი თანხები („შემსყიდველი ორგანიზაციის“ ანგარიშსა თუ ზარათ(ებ)ზე დაბლოკოს ჯარიმის თანხის შესატყვისი ღირებულების საწვავი ისე, რომ შეუძლებელი იყოს ასეთი საწვავის ბრენდირებულ აგს-ებზე მიღება).

13. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია ყოველგვარი დამატებითი გაფრთხილების გარეშე გააუქმოს ან/და დაბლოკოს „შემსყიდველი ორგანიზაციისათვის“ გადაცემული ზარათ(ებ)ი იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ზარათ(ებ)ზე უწყვეტი 6 (ექვსი) თვის მანძილზე არ განხორციელდება რაიმე სახის ტრანზაქცია.

14. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი ორგანიზაცია“ „მიმწოდებელს“ „ხელშეკრულებით“ დადგენილი წესით, წერილობითი ფორმით არ აცნობებს ზარათ(ებ)ის დაზიანების, განადგურების ან/და სხვა ნებისმიერი გზით მისი ნების საწინააღმდეგოდ ზარათ(ებ)ის „შემსყიდველი ორგანიზაციის“ მფლობელობიდან გასვლის შესახებ, ითვლება, რომ ზარათ(ებ)ი მოქმედია ამ „ხელშეკრულებით“ დადგენილი წესით და „მიმწოდებელი“ ასეთი ზარათ(ებ)ის ბრენდირებულ აგს-ებზე წარდგენის შემთხვევაში განახორციელებს საწვავის მიწოდებას, რაც შესაბამისად აისახება ზარათ(ებ)ზე განსაზღვრული ლიმიტის ცვლილებაში. საწვავის ამ

პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში განხორციელებულ მიწოდებაზე „შემსყიდველი ორგანიზაციის" შედავება/პრეტენზია არ დაიშვება/მიიღება.

15. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მხარეები თანხმდებიან, რომ „შემსყიდველი ორგანიზაციის" მიერ საწვავის მოთხოვნილი რაოდენობის ღირებულების „მიმწოდებლისათვის" ანაზღაურებისას/გადახდისას (ნაღდი ან/და უნაღდო ანგარიშსწორებით), ასევე, „შემსყიდველი ორგანიზაციის" ანგარიშზე საწვავის შესყიდული რაოდენობის გააქტიურებისას, მხარეთა შორის დამატებით რაიმე მიღება-ჩაბარების აქტი არ გაფორმდება (თუ ამ „ხელშეკრულებით" სხვა რამ არ არის გათვალისწინებული) და „შემსყიდველი ორგანიზაციის" მხრიდან ანგარიშ-ფაქტურის ელექტრონულად დადასტურება იქნება „შემსყიდველი ორგანიზაციისათვის" საწვავის საკუთრებაში გადაცემის საკმარისი პირობა. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, „შემსყიდველ ორგანიზაციას" არ აქვს და არ ექნება რაიმე სახის პრეტენზია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

16. ხელშკრულების მოქმედების ვადა: 2012 წლის 15 ოქტომბრამდე.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი ორგანიზაცია"

სსიპ „ლ.საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"
იურიდიული მის.:მ.ასათიანის ქ. # 9
ს/კ : 211324351
სახელმწიფო ხაზინა;220101222
ანგარიშის #200122900

გენერალური დირექტორი

ეკატერინე ქვითარაძე

„მიმწოდებელი"

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია"
იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი,
ვაკე-საბურთალოს რაიონი,
ჭავჭავაძის გამზ., #34, სართ. #6
საიდენტიფიკაციო კოდი: 404391136
ბანკი: სს „საქართველოს ბანკი"-ს ც/ფ
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის # GE62BG0000000876831000
ბანკი: სს „თიბისი ბანკი"-ს ც/ფ
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიში # GE05TB7538836020100001

კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი

იოსებ ქარსელაძე